გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 25

2023 წლის    10  თებერვალი

ქ. გორი

## გორის მუნიციპალიტეტის პროფესიული საჯარო მოხელეთა  პროფესიული განვითარების 2023 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სწავლა-გადამზადებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება, საჯარო დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს  მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებას ყოველი წლის დასაწყისში და უზრუნველყოფს მოხელის პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამებში მონაწილეობას, რომლის მიზანს წარმოადგენს  მუნიციპალიტეტის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლება, მათი საქმიანობისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავება, რაც ჯამში ხელს შეუწყობს  მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი საჯარო მოსამსახურეთა ჩამოყალიბებას, მუნიციპალიტეტის ორგანოთა უფრო მეტად ეფექტური მუშაობისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის პროფესიული საჯარო მოხელეთა პროფესიული  განვითარების   2023 წლის გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონი“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის პროფესიული საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების   2023  წლის გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად. (დანართი თან ერთვის --- ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში    (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს   თავმჯდომარე                                   დავით რაზმაძე

GEORGIA. GORI MUNICIPALITY
218086087

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის პროფესიული საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2023 წლის გეგმა

| | სასწავლო პროგრამის დასახელება | საბაზისო/ დამატებითი პროგრამა | დეტალური აღწერა/სასურველი თემები | პროფესიული სასწავლებლების მეთოდი/ფორმა (შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის მონიშვნა | მონაწილე თანამშრომლების რაოდენობა | მონაწილე თანამშრომლების თანამდებობა | პერიოდი (კვარტალი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადამიანური რესურსების მართვა, საქმისწარმოება და ელექტრონული მმართველობა საჯარო სექტორში კომუნიკაციის ფსიქოლოგია | დამატებითი | | ტრენინგი | 20 (საკრებულო 4 ) | II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | II –IV |
| 2 | პერსონალთან ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება (შრომითი ხელშეკრულების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, | დამატებითი | | ტრენინგი | 10 (საკრებულო 2 ) | I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | II-IV |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შინაგანაწესისა და საკადრო საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება) | | | | | III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | |
| 3 | საკრებულოს მუშაობის ორგანიზება | დამატები თი | | ტრენინგი | საკრებუ ლო 6 | III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალსიტი | II-IV |
| 4 | შიდა აუდიტი, რისკების შეფასება და განსაზღვრა | დამატებ ითი | | ტრენინგი | 10 | I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | II-IV |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | პიროვნული და პროფესიული კომპეტენციები | დამატებ ითი | | ტრენინგი | 30 | III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br><br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br><br>III რანგის III კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br><br>iV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალსიტი<br><br>iV რანგის II  კატეგორიის უმცროსი სპეციალსიტი<br><br>IV რანგის III კატეგორიის უმცროსი სპეციალსიტი | II-IV |
| 6 | სამშენებლო ნებართვების, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის, ადმინისტრაციული აქტების აღსრულების, ჯარიმების და სხვა | დამატებ ითი | | ტრენინგი | 20 | I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | II-IV |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კონტროლი; სამშენებლო დოკუმენტის დასაშვები ცვლილება და სამშენებლო, დოკუმენტის დარღვევა, სამშენებლო დოკუმენტში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება, მშენებლობის კონსერვაცია, სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის სახეები | | | | | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის III კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალსიტი<br>IV რანგის II კატეგორიის უმცროსი სპეციალსიტი<br>IV რანგის III კატეგორიის უმცროსი სპეციალსიტი | |
| 7 | ბავშვთა უფლებების დაცვა და მხარდაჭერა | დამატებ ითი | | ტრენინგი | 7 | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | II –IV |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პროგრამა | | | | III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი | |
| 8 | გენდერული თანასწორობა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა | დამატებითი პროგრამა | | ტრენინგი | 10 (საკრებულო 1) | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი | II –IV |
| 9 | | დამატებითი პროგრამა | | ტრენინგი | 6 | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | II –IV |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქონების მართვა და განკარგვა | | | | | III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br><br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი | |
| 10 | დაწესებულების არქივის წარმოება და საარქივო დოკუმენტაციის მომზადება | | | ტრენინგი | 4<br>(საკრებუ ლო 2) | III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br><br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი | II –IV |